ხელშეკრულება №-222

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის, ,,3" პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე

14/12/2015 წ.

ქ. თბილისი

ა(ა)იპ თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ზურაბ წერეთლის სახით, და შპს „აიღვინისსახლი", შემდგომში წოდებული „მიმწოდებელად", წარმოდგენილი მისი დირექტორის ბენედიქტე ქაშაკაშვილის სახით, მოქმედნი საქართველოს კანონმდებლობისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
4. ,,მხარე" ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს.
5. ,,მხარეები" ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს ერთად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გავაფორმეთ წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში „ხელშეკრულება") _ ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტში მითითებულ თანხას, რომელიც შემსყიდველმა უნდა გადაიხადოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „შემსყიდველი" ნიშნავს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული სახსრებით შესყიდვის განმახორციელებელ პირს.

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში (CPV-55300000) საქართველოში ლატვიის რესპუბლიკის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩის სტუმრობასთან დაკავშირებით რესტორნების მომსახურების შესყიდვა.

მუხლი 3. მომსახურების გაწევის ვადები

3.1 მომსახურების გაწევის ვადაა 2015 წლის 14 დეკემბერი.

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 364,70 (სამას სამოცდაოთხი ლარი და სამოცდაათი თეთრი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

მუხლი 5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

5.1 ანგარიშსწორება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, ფაქტიურად გაწეული მომსახურებისათვის, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი

5.3 ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო.

5.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მხარე დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურებს დოკუმენტალურად დადასტურებულ მიყენებულ ზიანს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2 მიმწოდებელი პასუხს აგებს მისთვის დაკისრებული ვალდებულებების სათანადო შესრულებისათვის და ვალდებულია აანაზღაუროს მისი ქმედებით დამდგარი ყველა სახის ზიანი.

6.3 მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მას ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.4 იმ შემთხვევაში, თუ ,,მიმწოდებელზე" დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, ,,შემსყიდველი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს ,,მიმწოდებელს" შესაბამისი პირგასამტეხლო 10%-ის ოდენობით

6.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.6 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

6.7 თუ შემსყიდველი მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს მიღებული გადაწყვეტილება, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.8 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 7. ხარისხი

7.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს გაწეული მომსახურების ხარისხზე.

მუხლი 8. ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის და მიღება-ჩაბარების წესი

8.1 მომსახურების გაწევა დასტურდება შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

8.2 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით ან უხარისხოდ (წუნდებული) გაწეულ მომსახურებაზე. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი თავისუფლდება ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვალდებულებისაგან.

8.3 მომსახურების გაწევის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენას და მიღება-ჩაბარებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის თავმჯდომარის მოადგილე ანი ლაღიძე.

მუხლი 9. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

9.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული მომსახურება.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ნებისმიერ სადაო საკითხებზე;

9.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად აცნობოს მიმწოდებელს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ;

ბ) გადაიხადოს ხელშეკრულების ღირებულება.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1 წინამდებარე ხელშეკრულებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მიმწოდებელისა და/ან შემსყიდველის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.2 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის 10 დღეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს 2015 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 12. სხვა პირობები

12.1 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს.

12.2 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერით.

12.3 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ა(ა)იპ თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი	შპს ,,აიღვინისსახლი''
თბილისი, შარტავას ქ. №7	საიდენტიფიკაციო კოდი: 406128275
ს/კ 404906170	სს: „საქართველოს ბანკი"
სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი: BAGAGE22
კოდი: TRESGE22	ა/ა GE64 BG0000 0008 5556 7400
ა/ა GE24 NB03 3010 0200 1650 22	
თავმჯდომარე	**დირექტორი**
ზურაბ წერეთელი	**ბენედიქტე ქაშაკაშვილი**

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის

არარსებობის შესახებ

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ა(ა)იპ ,,თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის" მიერ გაფორმებულ N8-222 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

გავეცანით წინამდებარე ხელშეკრულებას და შენიშვნები არ გაგვაჩნია.

---------- ზურაბ წერეთელი

---------- ანი ლაღიძე

---------- ეკატერინე ციხისელი

საქართველო
სანოტარო აქტი

2015 (ორიათასთხუთმეტი) წლის 20 (ოცი) ნოემბერს, მე, ნოტარიუსს ირინე ნანობაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მ.წინამძღვრიშვილის ქ. #1/ლ.ტოლსტოის ქ. #5, მომმართა ბენედიქტე ქაშაკაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს „აიღვინისსახლი" -ის (საიდენტიფიკაციო #406128275) დირექტორი და წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B15163767 12/08/2015. ბენედიქტე ქაშაკაშვილმა მოითხოვა ნანა ჭანტურიას მიმართ მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ბენედიქტე ქაშაკაშვილმა**, დაბ.: 09.03.1964 წელს, პირადი #01030003021, დაბადების ადგილი: თბილისი, რეგ.მისამართი: თბილისი, მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობა, ბარათის #13IB06809, გაც.: იუსტიციის სამინისტროს მიერ 10.07.2013 წელს, მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობდა. მინდობილობა "მიმნდობს" ხმამაღლა წავუკითხე მე, ნოტარიუსმა ირინე ნანობაშვილმა. ბენედიქტე ქაშაკაშვილმა მოიწონა მინდობილობა და ჩემი, ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ბენედიქტე ქაშაკაშვილი, დაბ.: 09.03.1964 წელს, პირადი #01030003021, როგორც შპს „აიღვინისსახლი"-ს(საიდენტიფიკაციო#406128275) დირექტორი - შემდგომში "მიმნდობი"

უფლებამოსილებას ანიჭებს - ნანა ჭანტურიას, დაბ.: 01.08.1987 წელს, პირადი #01008033040, რეგ.მისამართი: თბილისი, . თამარ მეფის გამზ. 6, ბ.3, - შემდგომში „მინდობილი პირი"

წარმოადგინოს შპს „აიღვინისსახლი" (საიდენტიფიკაციო#406128275) ნებისმიერ ორგანიზაცია-დაწესებულებ(ებ)თან, მათ შორის: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტთან, საგადასახადო ინსპექციასთან, ნებისმიერ ბანკთან ურთიერთობებში;
წარადგინოს და/ან მიიღოს ნებისმიერი განცხადებები, დეკლარაციები, ცნობები, შედარების აქტ(ებ)ი და ამონაწერები, გამოწეროს საგადასახადო ანგარიშ/ფაქტურები და სასაქონლო ზედდებულები, მიიღოს ინფორმაცია ნებისმიერი ტიპის დავალიანების შესახებ, აწარმოოს საბანკო დაწესებულებებში დოკუმენტალური ოპერაციები (საბანკო გარანტია, აკრედიტივი, ინკასო და სხვ;); გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახად(ებ)ი; აწარმოოს ნებისმიერი მოქმედება საკონტროლო-სალარო აპარატის შეძენა/ჩაბარება/გაუქმება გაფორმებასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებით. განახორციელოს საგადასახადო ვალდებულებათა შესრულება; მონაწილეობა მიიღოს საგადასახადო ორგანოებში მიმდინარე ნებისმიერ ადმინისტრაციულ საქმისწარმოებაში, რომლის მხარეს (დაინტერესებულ პირს) წარმოადგენს საზოგადოება, ამასთან, შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება რაც საჭირო გახდება მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილებ(ებ)ის განსახორციელებლად და მოაწეროს ხელი.

- **მინდობილობა გაცემულია 2 (ორი) წლის ვადით და ძალაშია 2017 (ორიათას ჩვიდმეტი) წლის 20 (ოცი) ნოემბრამდე.**

მინდობილობა შედგენილია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის ირინე ნანობაშვილის სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო 2 (ორი) გადაეცა "მიმნდობს".

"მიმნდობი"
ბენედიქტე ქაშაკაშვილი
შპს აიღვინისსახლი –ის
დირექტორი

გადახდილი:12.00 (თორმეტი) ლარი. მათ შორის: სანოტარო მომსახურების საზღაური – 10 (ათი) ლარი, "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, აგრეთვე, ელ. სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური -- 2 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით), ამავე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად.

ნოტარიუსი